

რა არის გრიპისგან დაცვის საუკეთესო გზა?

ჩაიტარეთ გრიპის სანინაალმდეგო სეზონური ვაქცინაცია ყოველ წელს გრიპის სეზონის დაწყებამდე, ეს არის საუკეთესო გზა:

- ❖ შეამციროთ გრიპით დაავადების ალბათობა;
- ❖ შეამციროთ მძიმე ავადობის, ჰოსპიტალიზაციის და გარდაცვალების რისკი.

თუ თქვენ ხართ ორსულად და გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემა, ვაქცინაციის ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც თქვენთვის, ასევე თქვენი ბავშვისთვის.

რა არის გრიპისგან დაცვის საუკეთესო გზა?

ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები შეიძლება გამოვლინდეს აცრიდან 24 საათის განმავლობაში და გამოხატულია მსუბუქად მიმდინარე გრიპისმაგვარი დაავადებებისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით.

ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები გრიპისგან განსხვავებით მსუბუქია და სწრაფად ქრება.

ვაქცინაცია უსაფრთხოა!



2017 წ.

გრიპმა შესაძლოა შეგიქმნათ სერიოზული საფრთხე, თუ თქვენ გაქვთ ჯანმრთელობის სხვა პრობლემა

ჩაიტარეთ გრიპის სანინაალმდეგო ვაქცინაცია

ვაქცინაცია უსაფრთხოა!



საპარტიკულო ზრამის, ჯანმრთელობისა და სოსილაური ლაცვის საბინისტრო



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც ავად ხდებიან გრიპით სწრაფადვე გამოჯანმრთელდებიან სამედიცინო დახმარების გარეშე. თუმცა, მათთვის, ვისაც აქვს ჯანმრთელობის სხვა პრობლემა, გრიპი შესაძლოა გახდეს მძიმე დაავადება, ზოგჯერ მომაკვდინებელიც კი.

მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ დიაბეტი, გულსისხლძარღვთა ან სასუნთქი სისტემის დაავადებები, გრიპმა შესაძლოა სერიოზულად გააუარესოს თქვენი ჯანმრთელობა.

რატომ ზრდის გრიპით მძიმე ავადობის რისკს ჯანმრთელობის სხვა პრობლემები?

გრიპმა შესაძლოა დაამძიმოს მანამდე არსებული დიაბეტი, გულის ან ფილტვის ქრონიკული დაავადებები, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჰოსპიტალიზაცია.

მათ, ვისაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, შესაძლოა ჰქონდეს სუსტი იმუნური სისტემა. გამომდინარე ჯანმრთელობის პრობლემიდან (მაგ. აივ-ინფექცია, დიაბეტი) ან მკურნალობის ტიპიდან (ქიმიოთერაპია, სტეროიდები), შესაძლოა გართულდეს გრიპის მკურნალობა და გაიზარდოს პნევმონიის განვითარების რისკი.



რა არის გრიპი?



გრიპი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა ცემინების, ხველების ან ახლო კონტაქტისას. გრიპის სიმპტომები იწყება უეცრად და გრძელდება რამოდენიმე დღიდან 2 კვირამდე.

ძირითადი სიმპტომებია:

ცხელება, შემცივნება, ხველა, ყელის, თავისა და კუნთების ტკივილი, დაღლილობა.

ჯანმრთელობის რომელი მდგომარეობები ზრდის გრიპით ავადობის რისკს?

გრიპით გამონვეული სერიოზული გართულებების რისკი იზრდება რიგი ქრონიკული დაავადებების ან ჯანმრთელობის პრობლემების არსებობისას.

ესენია:

უკიდურესი სიმსუქნე, ასთმა, ღვიძლის ქრონიკული დაავადება, ასპირინით ხანგრძლივი თერაპია ბავშვებში, თირკმლის ქრონიკული დაავადება, დასუსტებული იმუნური სისტემა, ფილტვების ქრონიკული დაავადებები, გულის პრობლემები, დიაბეტი, ნევროლოგიური პრობლემები და ნეირო-ფსიქიკური განვითარების დარღვევები.

